საქართველოს მთავრობის

დადგენილება №180

2013 წლის 19 ივლისი

ქ. თბილისი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ თანდართული დებულება.

მუხლი 2

1. საქართველოს მთავრობის კანცელარიამ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან ინსპექტორისა და მისი აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე.

2. საქართველოს მთავრობის კანცელარიამ უზრუნველყოს ინსპექტორი და მისი აპარატი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფართობით და ინვენტარით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ
დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მიზანი

ეს დებულება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის (შემდგომში – ინსპექტორი) მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესს, მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და ფორმებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებული ტერმინები განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. ინსპექტორის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები

1. ინსპექტორი არის თანამდებობის პირი, რომელიც ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონიერების პრინციპებზე დაყრდნობით ზედამხედველობს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა (შემდგომში – მონაცემთა) დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას და ახორციელებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს.

2. ინსპექტორის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

ა) საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის (პირებისათვის) კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;

გ) მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;

დ) საზოგადოების ინფორმირება საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

მუხლი 4. ინსპექტორის დამოუკიდებლობა

1. ინსპექტორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ სხვა თანამდებობის პირს და ორგანოს.

2. ინსპექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. ინსპექტორზე რაიმე სახის ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

4. ინსპექტორს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც ინსპექტორს. ეს უფლება მას უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 5. ინსპექტორის აპარატი

1. ინსპექტორი თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს ინსპექტორის აპარატის (შემდგომში – აპარატი) მეშვეობით.

2. აპარატს ხელმძღვანელობს უშუალოდ ინსპექტორი ან მისი დავალებით ინსპექტორის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსპექტორი.

3. ინსპექტორი:

ა) ამტკიცებს აპარატის დებულებას, რომლითაც განსაზღვრავს აპარატის სტრუქტურას და თანამშრომელთა შორის უფლებამოსილებების განაწილების წესსა და პირობებს;

ბ) ამტკიცებს აპარატის საშტატო ნუსხას და თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების ოდენობას;

გ) კონკურსის საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს;

დ) თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

4. აპარატის თანამშრომლებზე ვრცელდება ამ დებულების მე-4 მუხლის მე4 პუნქტი.

მუხლი 6. ინსპექტორისა და აპარატის საქმიანობის ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. ინსპექტორისა და აპარატის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. ხარჯთაღრიცხვის პროექტს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარადგენს ინსპექტორი. ინსპექტორისა და აპარატის საქმიანობისათვის საჭირო ასიგნებები განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე კოდით.

3. ინსპექტორი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა, უფლებამოსილია, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიიღოს გრანტები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ინსპექტორი უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას.

თავი II

ინსპექტორის საქმიანობის განხორციელების წესი

მუხლი 7. ინსპექტორის ვალდებულება და უფლებამოსილება

1. ინსპექტორი ვალდებულია:

ა) შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და ფიზიკურ პირებს მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ბ) განიხილოს მონაცემთა სუბიექტის განცხადებები მონაცემთა დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებით და მიიღოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

გ) თუ საქმიანობის პროცესში მიიჩნევს, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ინსპექტორი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;

ბ) მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

გ) შეიმუშაოს და წარუდგინოს წინადადებები და დასკვნები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით;

დ) ითანამშრომლოს სხვა დაწესებულებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციასა და სხვა სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებასთან მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დარღვევების და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოსწორება მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში;

ვ) წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაციები მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს მათ მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული წესების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში;

ზ) მოითხოვოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შეწყვეტა, თუ მათი გადაცემა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დად-გენილ მოთხოვნათა დარღვევით;

თ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა, თუ მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები და პროცედურები არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ი) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მათი დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება ხორციელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საწინააღმდეგოდ;

კ) მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

მ) მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ნ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 8. ინსპექტორის მიერ კონსულტაციების გაწევა

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამმუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი უფლებამოსილი არიან, წერილობითი/ელექტრონული ფორმით მიმართონ ინსპექტორს მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის შესახებ ზეპირი ან/და წერილობითი კონსულტაციის მიღების მიზნით.

2. ინსპექტორის მიერ გაწეული კონსულტაცია სარეკომენდაციო ხასიათისაა. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი მონაცემებს ამუშავებენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

მუხლი 9. ინსპექტორის სახელზე წარსადგენი განცხადების ფორმა და რეგისტრაცია

1. მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს ინსპექტორს განცხადებით, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობას, მისამართსა და საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის დასახელებას, მისამართს, საიდენტიფიკაციო კოდს ან/და პირად ნომერს, რომელმაც მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის აზრით, დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მისი უფლებები;

გ) მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნას;

დ) იმ გარემოებების აღწერას, რომლებსაც ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნა;

ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას;

ვ) განცხადებაზე დართულ დოკუმენტთა ნუსხას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი განცხადება ან სხვა დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტს უნდა ერთოდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

4. ინსპექტორის აპარატი ვალდებულია, რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და გაუგზავნოს (გადასცეს) მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. თუ განცხადების წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, ინსპექტორის აპარატი ვალდებულია, გაატაროს განცხადება ელექტორული განცხადებების რეესტრში და ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ელექტრონული ფორმით.

6. ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადების ფორმა, მისი მიღებისა და რეგისტრაციის წესი განისაზღვრება ინსპექტორის მიერ.

მუხლი 10. განცხადების განხილვა

1. განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, აპარატი ამოწმებს წარდგენილი განცხადების შესაბამისობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების მოთხოვნებთან.

2. საჭიროების შემთხვევაში, აპარატი მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს

დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ან/და განცხადებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზის აღმოფხვრისთვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 3 დღეზე ნაკლები.

3. თუ მონაცემთა სუბიექტი ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს ან/და არ წარადგენს ამ მუხლის მე2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ინსპექტორს უფლება აქვს, განცხადება დატოვოს განუხილველად, რის შესახებაც ეცნობება მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

4. მონაცემთა სუბიექტის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, ინსპექტორი იღებს გადაწყვეტილებას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და ამის თაობაზე აცნობებს მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

5. ინსპექტორი, განცხადების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, უფლებამოსილია:

ა) მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოსთხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დამატებითი დოკუმენტაციისა და განმარტებების წარმოდგენა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან; ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებზეც ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) დანიშნოს და ჩაატაროს განცხადების ზეპირი განხილვა ამ დებულების მე11 მუხლით დადგენილი წესით;

დ) განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლისა და/ან უფლებამოსილი პირის შემოწმება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესით;

ე) გაატაროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

6. ინსპექტორის მიერ განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. დასაბუთებული გადაწყვეტილებით, ინსპექტორი უფლებამოსილია, განცხადების განხილვის ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 1 თვით და ამის თაობაზე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

მუხლი 11. ინსპექტორის მიერ ზეპირი განხილვის ჩატარების წესი

1. ზეპირი განხილვის სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ინსპექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. სხდომას ესწრება სხდომის მდივანი.

2. ზეპირი განხილვის სხდომა დახურულია. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა ღიად გამოაცხადოს სხდომაში მონაწილე ყველა პირის თანხმობის შემთხვევაში.

3. ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხვა პირებს.

4. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს განსახილველი საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სხდომის მონაწილეებს მისცეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

5. სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) თავმჯდომარის სახელი, გვარი და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის შინაარსი, თუ განცხადებას არ იხილავს ინსპექტორი;

ბ) განხილვის დრო და ადგილი;

გ) სხდომაში მონაწილე პირების ვინაობა;

დ) ზეპირი განხილვის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;

ე) სხდომაში მონაწილე პირების მოსაზრებების მოკლე აღწერა.

6. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

7. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს ოქმს და ოქმის გაცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ინსპექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს ან იღებს გადაწყვეტილებას შენიშვნის უარყოფის შესახებ.

მუხლი 12. ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის შემოწმების წესი

1. ინსპექტორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, შეამოწმოს ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებლი და უფლებამოსილი პირი.

2. საკუთარი ინიციატივით შემოწმება გულისხმობს ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების გეგმურ და არაგეგმურ შემოწმებას.

3. ინსპექტორი ყოველწლიურად განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებს და გეგმურად შესამოწმებელი მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების კატეგორიებს დამუშავების პროცესში მყოფი მონაცემების მოცულობის, შინაარსის, დამუშავების პროცესში ჩართული პერსონალის სიმრავლისა და სხვა რისკების გათვალისწინებით.

4. მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების არაგეგმური შემოწმების შესახებ ინსპექტორის გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) კონკრეტულ მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირთან დაკავშირებით ინსპექტორისთვის წარდგენილი განცხადებების რაოდენობა ან/და შინაარსი;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ან ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაინტერესებული პირის განცხადება.

5. ინსპექტორის მიერ შემოწმების განხორციელება გულისხმობს:

ა) მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობის დადგენას;

ბ) მონაცემთა დაცვისათვის მიღებული პროცედურებისა და ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას;

გ) ფაილური სისტემის კატალოგის, ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრისა და მონაცემთა გაცემის აღრიცხვის შესახებ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას;

დ) მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის კანონიერების შემოწმებას;

ე) კანონმდებლობით დადგენილ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული წესების შესრულების შემოწმებას.

6. ინსპექტორი, მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმების თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლიც უნდა შეიცავდეს:

ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის სახეს;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს დასახელებას;

დ) მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის სახელს/სახელწოდებას, საიდენტიფიკაციო

კოდს/პირად ნომერს;

ე) შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის/პირების სახელს, გვარს, თანამდებობასა და პირად ნომერს;

ვ) შემოწმების საფუძველს, საგანსა და ვადას;

ზ) შემოწმების დროს, მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის უფლებებსა და მოვალეობებს;

თ) მითითებას ინსპექტორის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ;

ი) ინფორმაციას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ, სასამართლოს დასახელების, მისამართის და გასაჩივრების ვადის მითითებით;

კ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;

ლ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროსა და ადგილს;

მ) ინსპექტორის სახელს, გვარს და ხელმოწერას.

7. შემოწმების განხორციელების თაობაზე ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინსპექტორმა ან შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა წარუდგინოს მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს შემოწმების დაწყებისთანავე, გარდა ამავე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი გამონაკლისისა.

8. ინსპექტორი ვალდებულია, დაგეგმილი შემოწმებისა და მისი ფარგლების შესახებ წინასწარ, არანაკლებ 3 დღით ადრე, აცნობოს იმ დაწესებულებას, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან, ან რომელიც ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

9. შემოწმების განხორციელებისას, ინსპექტორი ან/და შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერი დაწესებულებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირისაგან გამოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია შემოწმების მიზნებისთვის;

ბ) შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, დააკვირდეს მონაცემების დამუშავების პროცესს და ადგილზე გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტსა და ინფორმაციას, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა, გარდა ამ მუხლის მე8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში.

10. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, შემოწმების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ითანამშრომლონ ინსპექტორთან ან/და მის მიერ უფლებამოსილ პირთან, უზრუნველყონ მათ მიერ შემოწმების დაუბრკოლებელი განხორციელება.

11. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, ინსპექტორს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი. თუ ეს შეუძლებელია ფიზიკური ან სამართლებრივი მიზეზის გამო, მათ შეუძლიათ ინსპექტორს ინფორმაცია ან დოკუმენტი გადასცენ მოთხოვნიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

12. ინსპექტორი, მისი მოადგილე და აპარატის თანამშრომლები ვალდებული არიან, არ დაუშვან იმ ინფორმაციის გამჟღავნება ან სხვაგვარად უკანონო დამუშავება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა შემოწმების პროცესში ან სხვა ტიპის სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად.

13. შემოწმების განხორციელებისას, შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი ადგენს და ხელს აწერს შემოწმების ოქმს, სადაც აღიწერება შემოწმების მიმდინარეობა. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, ხელი მოაწერონ შემოწმების ოქმს. თუ ისინი არ ეთანხმებიან შემოწმების ოქმის შინაარსს და უარს აცხადებენ ხელის მოწერაზე, შესაბამისი საფუძველი უნდა იქნეს მითითებული

შემოწმების ოქმში.

მუხლი 13. განცხადების განხილვის ან/და მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის შემოწმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება

1. განცხადების განხილვასთან დაკავშირებული ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული შემოწმების (ინსპექტირების) დასრულების შედეგად, ინსპექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მოითხოვს მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დარღვევასა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოსწორებას მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში;

ბ) მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს ავალებს, გონივრულ ვადაში მის მიერ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის გამოსწორებისთვის გასატარებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის წარმოდგენას;

გ) მოითხოვს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტას, თუ მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები და პროცედურები არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს;

დ) მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, დაბლოკვას, წაშლას, განადგურებას ან დეპერსონალიზაციას, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება არაკანონიერად;

ე) მოითხოვს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შეწყვეტას, თუ მათი გადაცემა ხორციელდება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ვ) წერილობით აწვდის რჩევებს და რეკომენდაციებს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს, მათ მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული წესების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში;

ზ) აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და შესაბამის სახდელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირებს ამავე კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ინსპექტორი წერილობით ადასტურებს მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.

3. ინსპექტორი უფლებამოსილია, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ერთდროულად გამოიყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ორი ან მეტი ღონისძიება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გეგმა ხორციელდება ინსპექტორთან შეთანხმებით.

5. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, ინსპექტორის მიერ მითითებულ ვადაში, შეასრულონ მისი მოთხოვნები და ამის შესახებ აცნობონ ინსპექტორს.

6. ინსპექტორის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი არ ასრულებს ინსპექტორის მოთხოვნებს, ინსპექტორი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 14. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება

1. თუ ინსპექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გამოავლენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე–54-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია, შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და განიხილოს საქმე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე–54-ე მუხლებით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს ინსპექტორს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას ადგენს ინსპექტორი.

თავი III

ინსპექტორისთვის შეტყობინების ვალდებულება და ინსპექტორის ნებართვა მონაცემთა გადაცემის თაობაზე

მუხლი 15. შეტყობინების ვალდებულება

ნებისმიერი პირი ვალდებულია, საქართველოს კანონდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეატყობინოს ინსპექტორს მონაცემთა დამუშავების შესახებ.

მუხლი 16. ბიომეტრული მონაცემების დამუშავების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბიომეტრულ მონაცემთა გამოყენებამდე, მონაცემთა დამმუშავებელმა კერძო პირმა წერილობითი ფორმით ინსპექტორს უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მონაცემთა სუბიექტს, მონაცემთა დამუშავების მიზეზი და მონაცემთა დაცვის გარანტიები.

2. თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ ბიომეტრული მონაცემების დამუშავება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და პრინციპებს, იგი წერილობით ატყობინებს მონაცემთა დამმუშავებელს ამის შესახებ და უფლებამოსილია, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მათი დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია.

3. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს ამ მუხლის მე2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა. მოთხოვნის გათვალისწინებამდე, მონაცემთა დამმუშავებელს უფლება არ აქვს, გამოიყენოს ეს მონაცემები.

4. მონაცემთა დამმუშავებელს შეუძლია, გამოიყენოს ბიომეტრული მონაცემები ინსპექტორის მოთხოვნის გათვალისწინებამდეც, თუ ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ინსპექტორს დასაბუთებული განცხადებით.

5. მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ინსპექტორი უფლებამოსილია, გამოიყენოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 17. ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ინფორმაციის შეტანამდე ინსპექტორის შეტყობინების ვალდებულება

1. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს ინსპექტორს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფაილური სისტემის სახელწოდება;

ბ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია;

ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში;

ვ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

ზ) მონაცემთა შენახვის ვადა;

თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები;

ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები;

კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი;

ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

2. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, შეატყობინოს ინსპექტორს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

3. თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ ფაილური სისტემის კატალოგი არ შეესაბამება მონაცემთა დამუშავების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიზნებსა და პრინციპებს, იგი წერილობით ატყობინებს მონაცემთა დამმუშავებელს ამის შესახებ და მოითხოვს ფაილური სისტემის კატალოგის შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობის მიზნებსა და პრინციპებთან.

4. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს ამ მუხლის მე3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა და მისი მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოს ფაილური სისტემების კატალოგის შესაბამისობა მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის მიზნებსა და პრინციპებთან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ინსპექტორთან შეთანხმებით, არა უმეტეს 10 დღით.

5. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება შესრულებული ამ მუხლის მე4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, ინსპექტორი უფლებამოსილია, გამოიყენოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. მონაცემთა დამმუშავებელი, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 18. მონაცემთა მიმღებების სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი ხარჯების გამო შეტყობინების ვალდებულება

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ყველა მიმღებისთვის შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი ხარჯების გამო, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს ინსპექტორს ასეთი გარემოების წარმოშობიდან 3 დღის ვადაში.

2. თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ დარღვეულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები, იგი უფლებამოსილია, გამოიყენოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 19. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის ნებართვა

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემების გადაცემა შეიძლება, თუ:

ა) შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები;

ბ) ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით;

გ) მონაცემთა დამმუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს და მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებების დაცვას მონაცემთა დამმუშავებელსა და შესაბამის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ

ინსპექტორის ნებართვის საფუძველზე.

3. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, მიმართოს ინსპექტორს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს ხელშეკრულება და დამატებითი დოკუმენტაცია მონაცემთა კატეგორიიდან ან/და ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე. ყველა დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტს უნდა ერთოდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

4. სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობას აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს ინსპექტორი მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც იგი, განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის ნებართვის მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

თავი IV

ინსპექტორის მონაწილეობა სამართალშემოქმედებით პროცესში, მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და საქმიანობის საჯაროობა

მუხლი 20. ინსპექტორის მონაწილეობა სამართალშემოქმედებით პროცესში

1. ინსპექტორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით საქართველოს პარლამენტსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს წარუდგინოს წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და მოამზადოს დასკვნები იმ კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან.

2. ინსპექტორი უფლებამოსილია, მიიღოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი განმარტება იმ სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლისაგან, რომელიც ამზადებს მონაცემებთან დაკავშირებულ კანონპროექტსა და სხვა ნორმატიული აქტის პროექტს.

3. კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, ინსპექტორი უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც შესაძლოა, ჩართული იყვნენ როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებები და ფიზიკური პირები.

მუხლი 21. ინსპექტორის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პოპულარიზაციისა და მისი დარღვევის პრევენციის მიზნით, მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინსპექტორი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის, ინსპეტორის ოფიციალური ვებგვერდის, სემინარებისა და შეხვედრების, სასწავლო ვიზიტების, ექსპერტების მოწვევის, საჯარო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით.

მუხლი 22. ინსპექტორის საქმიანობის საჯაროობა

1. ინსპექტორი ვალდებულია, ყოველი წლის 1 მარტამდე მოამზადოს და გამოაქვეყნოს ანგარიში ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

2. ანგარიში უნდა მოიცავდეს ქვეყანაში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ზოგად შეფასებას, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ინფორმაციას წლის განმავლობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. აგრეთვე, ინფორმაციას ინსპექტორის მიერ გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების, განხილული განცხადებების, ჩატარებული შემოწმებების, მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოყენებული ღონისძიებების შესახებ.

3. ინსპექტორი ვალდებულია, ოფიციალური ანგარიშის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, წაუდგინოს იგი საქართველოს მთავრობას და უზრუნველყოს მისი საჯაროდ გამოქვეყნება ინსპექტორის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 23. ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი

1. ინსპექტორი ვალდებულია, აწარმოოს ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე19 მუხლის პირველი პუნქ-ტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

2. ინსპექტორი უზრუნველყოფს ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის საჯაროობას და მის ხელმისაწვდომობას ინსპექტორის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.